კონსტრუქციული დასკვნა
ქ. თბილისში სარაჯიშვილის ქ. №2-ში (ს/კ 01.11.04.026.110) ასაშენებელი მრავალსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (სახლი №4) სამეზობლოში არსებულ შენობებზე ზეგავლენის მოხდენის შესახებ.

1. შედგენის თარიღი 05.12.2024წ.
2. შევადგინე ინსპექტორები/ექსპერტები : *ბადრი ბარბაქაძე, ინჟინერ მშენებელი, 50 წლიანი სტაჟი, კონსტრუქტორი.*

3. ასაშენებელი ობიექტის დასახელება: *ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქ. №2 (ს/კ 01.11.04.026.110), მრავალსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (სახლი-№4) პროექტი*

4. გაფრთხილებული ვარ ჩემს უფლება-მოვალეობებზე, საქ. სსკ 370 მუხლით გათვალისწინებული მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე ინსპექტირების მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობის და კონფიდენციალურობის მოთხოვნებზე, რაზედაც ხელს ვაწერ:

ინსპექტორები/ექსპერტები: /ბ.ბარბაქაძე/

5. წარმოდგენილი დოკუმენტები:
პროექტი - გრაფიკული ნაწილი,

6. ინსპექტირების კვლევითი ნაწილი:
ქ.თბილისში, სარაჯიშვილის ქ. №2-ში (ს/კ 01.11.04.026.110) იგეგმება მრავალსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (სახლი №4) მშენებლობა. პროექტის მიხედვით ასაშენებელი შენობა არის 25 სართულიანი (+ 2 სარდაფის სართული ავტოფარეხისათვის) სარდაფის სართულების სიმაღლეებია 3.00 მ და 3.30მ, პირველი სართულის 3.95 მ, ტიპიური სართულების - 3.30 მ. შენობის საანგარიშო სქემად მიღებულია ხისტკვანძებიანი მონოლითური რკინა-ბეტონის ჩარჩო-კავშირებიანი სისტემა სადაც ძირითად მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენენ მონოლითური საძირკვლები, მონოლითური კოლონები(პილონები), მონოლითური სიხისტის დიაფრაგმები და რიგელებზე დაყრდნობილი მონოლიღური გადახურვის ფილები. ასაშენებელი შენობის დაფუძნება გადაწყვეტილია ძირითად ქანებში (მინიმალური ჩაღრმავება საძირკვლის ფილის ძირის გეგმარებითი ნიშნულიდან 10.4 მ) ჩაანკერებული რკინა-ბეტონის ხიმინჯებზე (მინიმალური სიგრძით 14 მ) დაყრდნობილი მონოლითურ რკინა-ბეტონის ფილის საშუალებით.

ამჟამად არსებული მდგომარეობით ასაშენებელი ობიექტის ტერიტორიის მიმდებარედ (სამეზობლოში) სხვადასხვა დაშორებებით განლაგებულია 2 ობიექტი, კერძოდ სამხრეთის მხარეს 23.5 მ მანძილში საზ-კვების ობიექტი და ჩრდილოაღმოსავლეთის მხარეს 45 მ მანძილში საწარმოო ობიექტი.

ასაშენებელი შენობა სამეზობლოში არსებულ შენობა ნაგებობებთან მოშორებულია სამშენებლო ნორმებისა და წესების („შენობა-ნაგებობების ფუძეები პნ 02.01-08“ დანართი 5) გათვალისწინებულ დაშორებებთან შედარებით გაცილებით მეტი მანძილებით, ამასთან ასაშენებელი შენობის საძირკვლის ფილის და ხიმინჯების ჩაღრმავების დონეები სცდება სამეზობლოში არსებული შენობების საძირკვლებზე დატვირთვების გადაცემის არეალს, შესაბამისად ასაშენებელი შენობის დატვირთვების ზეგავლენა არსებული შენობების ტექნიკურ მდგომარეობაზე, მათ სიმტკიცესა და მდგრადობაზე გამორიცხულია.

გეგმარებითი თვალსაზრისით აღმოსავლეთის მხრიდან (მინიმალური მანძილი 18.0 მ) შნობას ესაზღვრება ასაშენებელ საცხოვრებელ კომპლექსში შემავალი სახლი №5 , რომლის კონსტრუქციული სქემა, გეგმარებითი ნიშნულები და საძირკვლების ტიპი ანალოგიურია, მათი ურთიერთზეგავლენა გათვალისწინებულია შენობების სივრცული ანგარიშების ჩატარების პროცესში და პროექტირებისას მიღებული იქნება სათანადო კონსტრუქციული ზომები მათი უარყოფითი ურთიერთზეგავლენების აღმოსაფხვრელად.

7. გამოყენებული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1. *საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება #1-1/1743 2008წლის 25 აგვისტოს ქ.თბილისში დაპროექტების ნორმების - „სამშენებლო კლიმატოლოგია“;*
2. *საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება #1-1/2284 2009წლის 7 ოქტომბრის ქ.თბილისში სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01,01-09);*

3. QRT/IB-7.1-01 ინსპექტირების პროცედურები.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ.თბილისში, სარაჯიშვილის ქ. №2-ში (ს/კ 01.11.04.026.110) ასაშენებელი მრავალსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი სახლი №4-ს უარყოითი კონსტრუქციული თვალსაზრისით ზეგავლენა, როგორც სამეზობლოში არსებულ შენობა ნაგებობებზე, ასევე კომპლექსში შემავალ სახლ №5-ზე გამორიცხულია

ექსპერტი - ინჟინერ-კონსტრუქტორი: /ზ.ბარბაქაძე/

ინსპექტირების დაწყების თარიღი 25.11.2024 წ.

ინსპექტირების დამთავრების თარიღი 05.12. 2024 წ.

ზ. ა.

ავტობიოგრაფია
ბარბაქაძე ბადრი გიორგის-ძე
ინჟინერ-მშენებელი
(კონსტრუქტორი)

დაბადების თარიღი: 15 მაისი, 1952 წელი
მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მასივი,
IVკვარტალი, მე-7 კორპუსი, ბ.70
ტელეფონი: მობ. 551 13 94 15; 599 51 80 56;
ბინის 995 32 2521284

განათლება

1969-1974 წწ	საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი(ტექნიკური უნივერსიტეტი), სამშენებლო ფაკულტეტი, სპეციალობა- სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა. ხარისხი- მაგისტრთან გათანაბრებული. პროფესია ინჟინერ მშენებელი

სამუშაო გამოცდილება

1974-1999 წწ	თბილისის ზონალური საკვლევ-სამეცნიერო და საპროექტო ინსტიტუტი "თბილზნიიეპი". ინდუსტრიალური სამშენებლო კონსტრუქციების განყოფილების პრ. მთ. კონსტრუქტორი
1999-2014 წწ	სააქციო საზოგადოება "ქართუ ჯგუფი"; შპს "ინტერსერვისი" ასოციაცია "ატუ", შპს "ბურჯი",შპს "ქართუ მენეჯმენტი"- პრ. მთ. კონსტრუქტორი

შესრულებული სამუშაოების ნუსხა

1974-1990 წწ	ინდუსტრიალური სამშენებლო კონსტრუქციების სერიები: ИИС-04, 1.020.1-1с, 1.020.1-2с - პრ. მთ. კონსტრუქტორი
1984-1999 წწ	16 სართულიანი კარკასული საცხოვრებელი სახლები ქ. თბილისში და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში(ნევინომისკი, კემეროვო, ორენბურგი) - პრ. მთ. კონსტრუქტორი
1999-2008 წწ	ბიზნესცენტრი სოლოლაკის ხეივანში - კონსტრუქტორი

ნუსხა(გაგრძელება)

2002-2008 წწ	ბ.ივანიშვილის საცხოვრებელი კომპლექსები სოფ. ჭორვილაში, დაბა ურეკში და დაბა ბაკურიანში - პრ. მთ. კონსტრუქტორი
2006-2012 წწ	ქ.საჩხერის რაიონული სავადმყოფოს ახალი კორპუსები - პრ. მთ. კონსტრუქტორი
2011-2014 წწ	სარაგბო კომპლექსებიქ. თბილისში (ნუცუბიძის პლატო), ქ. რუსთავში, ქ. ქუთაისში, ქ. ფოთში, ქ.ბათუმში და ქ.გორში - პრ. მთ. კონსტრუქტორი
2010-2012 წწ	საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრი აეროპორტის გზატკეცილზე - პრ. მთ. კონსტრუქტორი
2012-2014 წწ	ჰუმანას სათავო ოფისი დიდ დიღომში - პრ. მთ. კონსტრუქტორი
2010-2013 წწ	"სმარტი"-ს სავაჭრო ცენტრი ქ. ბათუმში - პრ. მთ. კონსტრუქტორი
1990-2014 წწ	მრავალი ინდივიდუალური და კოტეჯის ტიპის საცხოვრებელი სახლი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში - პრ. მთ. კონსტრუქტორი
2004-2008 წწ	დიდველის სათხილამურო კომპლექსი დაბა ბაკურიანში
2015-2016 წწ	თემატური პარკი დაბა ურეკში (შეკვეთილ- ნატანებში)
2016 წ	პარკინგი ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ ქ. ბათუმში

ენები

ქართული	მშობლიური
რუსული	თავისუფლად

კომპიუტერული პროგრამები

ავტოკადი

დიპლომი

Я № 189698

ეს დიპლომი მიეცა ბარბაქაძე ბადრი გიორგის ძეს

მასზე, რომ იგი 1969 წელს შევიდა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1974 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1974 წ. „26" ივნისის გადაწყვეტილებით ბ. გ. ბარბაქაძეს მიენიჭა

ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1974 წ. „2" XI

სარეგისტრაციო № სტ-3699

Грузинский вз.

ДИПЛОМ

Я № 189698

Настоящий диплом выдан Барбакадзе Бадри Георгиевичу

в том, что он в 1969 году поступил в Грузинский политехнический ин-ут им. В.И. Ленина

и в 1974 году окончил полный курс названного института

по специальности Промышленное и гражданское строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от „26" июня 1974 г.

Барбакадзе Б. Г.

присвоена квалификация инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси 2 XI 1974 г.

Регистрационный № СТ-3699

Московская типография Гознака. 1972.